# ვინც ალლაჰს შეხვდება ისე, რომ არ დაუდგენს მას თანაზიარს - მას შეცდომები ვერაფერს ავნებს; ხოლო ვინც მას შეხვდება მასზე თანაზიარის დადგენით - მას მისი სიკეთეები ვერაფერს არგებს

გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ 'ამრისგან (ალლაჰი იყოს მათი ორივეთი კმაყოფილი): თქვა ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): «ვინც ალლაჰს შეხვდება ისე, რომ არ დაუდგენს მას თანაზიარს - მას შეცდომები ვერაფერს ავნებს; ხოლო ვინც მას შეხვდება მასზე თანაზიარის დადგენით - მას მისი სიკეთეები ვერაფერს არგებს».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა აჰმადმა]

მოციქული მუჰამმადი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ ვინც ალლაჰს არაფერს დაუდგენს თანაზიარად და ამ მდგომარეობაში გარდაიცვლება, მისი საბოლოო დანიშნულება სამოთხეა, თუნდაც იგი დაისაჯოს მისი ზოგიერთი ცოდვის გამო. ხოლო ვინც ალლაჰს დაუდგენს თანაზიარს და ამ მდგომარეობაში გარდაიცვლება, მას მისი სიკეთე ვერაფერს არგებს, და სამოთხე მისთვის აკრძალულია.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/65109

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee